



საქმე №33/1851-09



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

28 იანვარი, 2010 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე: მანანა ჩოხელი
მოსამართლეები: მაია ბაქრაძე
ნანა კობახიძე

სხდომის მდივანი ინგა ახველდიანი-ბერძენიშვილი

აპელანტი (მოსარჩელე) – სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი;
წარმომადგენელი – მ. თ.;
მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) – შპს „მ. XX“;
წარმომადგენელი – დ. ტ.;
დავის საგანი – ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება;

აპელანტის მოთხოვნა – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

2009 წლის 31 მარტს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე – შპს „მ. XX“-ის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები და მათ შემდეგი სამართლებრივი შეფასება მისცა:

სასამართლომ გამოარკვია, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს შპს „მ. XX“-ს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულებით დაცვის

პოლიციის დეპარტამენტი ქ. თბილისში, ასათიანის ქ. №XX-ში მდებარე შპს „მ. XX“-ის დაცვის ვალდებულება იკისრა. ამავე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენდა ერთ თანამშრომელზე 450 ლარს, სულ თვეში 900 ლარს დღგ-ს ჩათვლით. ანგარიშსწორება მხარეთა შორის უნდა განხორციელებულიყო ყოველი საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე. ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ძალაში შესვლის ვადად განისაზღვრა ობიექტზე ოფიცერთა დაყენებისა და შესაბამისი აქტის გაფორმების დღიდან, ხოლო მოქმედების ვადად ერთი წელი.

საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს ცნობით სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „მ. XX“-ს 2009 წლის 31 მარტის მდგომარეობით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ ერიცხებოდა 2005 წლის დებიტორული დავალიანება 900 ლარის ოდენობით.

საქმის განხილვისას მოსარჩელე მხარემ წარმოადგინა დაზუსტებული ცნობა, რომლითაც შპს „მ. XX“-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ ერიცხებოდა 2006 წლის მარტის თვის დებიტორული დავალიანება 900 ლარის ოდენობით.

საქმეში წარმოდგენილი შედარების აქტით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს „მ. XX“-ს შორის გაფორმდა აქტი მასზედ, რომ 2006 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შპს „მ. XX“-ს ერიცხებოდა დაცვის მომსახურების დავალიანება 406,45 ლარის ოდენობით. ასევე წარმოდგენილი 2006 წლის 17 თებერვლით დათარიღებული №3 საგადასახადო დავალებით (გადამხდელი ბანკი ს.ს. „გაერთიანებული ქართული ბანკი“, ფილიალი №X) შპს „მ. XX“-ის მიერ ანაზღაურებულ იქნა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დავალიანება – დაცვის ხარჯი, 406,45 ლარის ოდენობით თანახმად ხელშეკრულებისა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სერია ბბ-05 №XXXXXXX, ბბ-05 №XXXXXXX, ბბ-05 №XXXXXXX საგადასახადო ანგარიშვაქტურებით შპს „მ. XX“-ს მიერ ანაზღაურებულ იქნა 2006 წლის იანვრის, თებერვლის და მარტის დაცვის მომსახურების ღირებულება 900-900 ლარის ოდენობით. ხოლო 2006 წლის 18 აპრილით დათარიღებული №17 საგადასახადო დავალებით (გადამხდელი ბანკი ს.ს. „გაერთიანებული ქართული ბანკი“, ფილიალი №X) შპს „მ. XX“-ის მიერ ანაზღაურებული იქნა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დავალიანება – დაცვის ხარჯი – 1800 ლარის ოდენობით, თანახმად ხელშეკრულებისა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ

შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ამოცანაა კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, დადებული ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონების, კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფილსაგან.

ამდენად, სასამართლოს აზრით, ხელშეკრულების ფარგლებში კერძო თუ სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებაა და მისი უშუალო, პირდაპირი ფუნქციაა, ანუ ამ შემთხვევაში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხების ანაზღაურებას, რის გამოც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ასანაზღაურებელი თანხა წარმოადგენს 2006 წლის მარტის თვის დავალიანებას, ვინაიდან მოსარჩელე მხარეს რაიმე სახის მტკიცებულება აღნიშნული არგუმენტის

დასადასტურებლად არ წარმოუდგენია. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმის განხილვისას მოპასუხის მიერ წარმოდგენილ იქნა სერია ბბ-05 №XXXXXX საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 2006 წლის მარტის დაცვის მომსახურების თაობაზე, რომელიც წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად, დღეს-გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას, მოთხოვნიდან არა უგვიანეს მეორე დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი მიმღებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მიმღები გადასახადის გადამხდელი. კანონის აღნიშნული მოთხოვნა კი მოპასუხის მხრიდან შესრულებული იქნა. ხოლო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ხელფასის უწყისები სასამართლოს მიერ ვერ იქნება მიჩნეული დავალიანების არსებობის სათანადო მტკიცებულებად, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი ასახავს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკათვის ხელფასის ანაზღაურების ფაქტს და ხსენებული დოკუმენტებით რეალურად შეუძლებელია იმ გარემოების დადასტურება, შესრულდა თუ არა შპს „მ. XX“-ის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება.

სასამართლოს აზრით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მოპასუხე შპს „მ. XX“-ის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა და შესაბამისად ვერ იარსებებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

2009 წლის 09 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არასწორად იქნა დადგენილი სერია ბბ-05 №XXXXXX, ბბ-05 №XXXXXX, ბბ-05 №XXXXXX საგადასახადო ანგარიშ ფაქტურებით შპს „მ. XX“-ის ვალდებულება – დაცვის მომსახურების საფასური მარტის თვის ჩათვლით, 2700 ლარი, ვინაიდან ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება საქონლის/მომსახურების მიღების შემდგომ, დღეს-გადამხდელის მიერ, ანუ დაცვის პოლიციის მიერ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იქნა ცნობა დავალიანების ოდენობის და წარმოშობის თარიღის მითითებით, ხელფასის უწყისები, ეგრეთ წოდებული ტაბელებთან ერთად, რომელშიც აისახება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამუშაოს შესრულება მარტის თვის განმავლობაში და შესაბამისად, შესრულებული დღეების მიხედვით სწორედ ტაბელების საფუძველზე იწერება ხელფასის უწყისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში სრულად დაუსაბუთებლად არ გაიზიარა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მტკიცებულებები, რომ ასანაზღაურებელი თანხა წარმოადგენს მარტის თვის მომსახურების გადასახდს და, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს არ წარმოუდგენია აღნიშნულის დასადასტურებლად რაიმე სახის მტკიცებულება. აპელანტი მიიჩნევს, რომ გაუგებარია 2006 წლის მარტის დაცვის მომსახურების თაობაზე დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ სერია ბბ-05 №XXXXXX საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე და მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულებაზე მსჯელობა საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლთან მიმართებაში. მაშინ, როცა ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვალდებულება იყო, ხოლო

მოპასუხეს შპს „მ. XX“-ს ევალუბოდა გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაზე მომსახურების თანხის გადახდა. შპს „მ. XX“-ის მიერ რაიმე სახის მტკიცებულება არყოფილა წარმოდგენილი, რაც დაადასტურებდა მათ მიერ 2006 წლის 18 აპრილით დათარიღებული №17 საგადასახადო დავალებით შპს „მ. XX“-ის მიერ ანაზღაურებული იქნა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დავალიანება 1800 ლარი, რაც წარმოადგენდა 2 თვის (იანვარი, თებერვალი) დაცვის მომსახურების ღირებულებას და არა 3 თვისას. ამდენად, ყოველად დაუსაბუთებელი და გაურკვეველია მსჯელობა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულებაზე, ცხადია, მათ მიერ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მტკიცებულება-საგადასახადო დავალება ზემოხსენებულ ანგარიშ-ფაქტურაზე, რაც მათი მხრიდან დაადასტურებდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო, ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. „გ“ მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატა ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გასაჩივრებულ ნაწილში, მიუთითებს მათზე და დამატებით აღნიშნავს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და თვლის, რომ სააპელაციო საჩივრის პრეტენზია დაუსაბუთებელია, სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები და არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები.

პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹.1 მუხლზე, რომლის შესაბამისად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

სააპელაციო პალატა უსაფუძვლოდ გამო ვერ გაიზიარებს აპელანტის სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, თვლის, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და აღნიშნავს, რომ მოსარჩელეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელით სასამართლოს მიმართეს 2009 წლის 31 მარტს და მიუთითეს, რომ მოპასუხის მიმართ დავალიანების არსებობას ადასტურებდა შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს ცნობა დებიტორული დავალიანების შესახებ, რომელიც სარჩელს ერთვოდა (იხ.ს.ფ.4). სარჩელს დართული ჰქონდა ცნობა იმის თაობაზე, რომ შპს „მ. XX“ სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტისადმი ერიცხება დებიტორული დავალიანება 900 ლარი 2005 წლის დაცვის მომსახურების ღირებულება (იხ.ს.ფ.13). 2009 წლის სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარემ წარადგინა შედარების აქტი, საიდანაც დგინდება, რომ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „მ.-ს“ ერიცხება დაცვის მომსახურების დავალიანება 406,45 ლარი, რომელიც მას 2006 წლის 17 თებერვლის საგადასახადო დავალება №3-ით აქვს გადახდილი (იხ.ს.ფ.41-42). ამავე სხდომაზე მოსარჩელემ მოითხოვა 2006 წლის მარტის თვის დავალიანების ანაზღაურება (იხ.ს.ფ.53-54). მოპასუხის განმარტებით 2006 წლის 18 აპრილის №17 საგადასახადო დავალებით შპს „მ. XX“-ს ანაზღაურებული აქვს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დავალიანება, მათ შორის 2006 წლის მარტის თვის დაცვის ხარჯი.

სააპელაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3-ე მუხლის დანაწევს, რის შესაბამისად, „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით,“ ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული, რომ მის მიერ მოთხოვილი თანხა წარმოადგენს 2006 წლის მარტის თვის დავალიანებას, ვინაიდან მოსარჩელე მხარეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102.3-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. 2005 წლის 30 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების 4.2-ე მუხლის შესაბამისად, „დამკვეთი“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას „დაცვას“ გადაუხდის ყოველ მომდევნო საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე. 2006 წლის მარტამდე წარმოშობილი დავალიანების არსებობის შემთხვევაში, რომც ასეთი არსებობდეს, მოთხოვნა ხანდაზმულია, რამდენადაც მოსარჩელის მიერ სასამართლოში სარჩელი აღძრულია 2009 წლის 31 მარტს, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.1-ე მუხლის შესაბამისად სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს ... ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა... ხანდაზმულობის ვადის გასვლით იფარება (ისპობა) სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების

შესრულებაზე (სკ-ის 144-ე მუხ.). ხანდაზმულობის ვადის არსებობა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად მიმართონ თავიანთი დარღვეული უფლებების აღსადგენ საშუალებებს, ამასთანავე იცავს საზოგადოებას დაუსრულებელი სადავო სამართალურთიერთობების არსებობისგან, სამართლებრივი გაურკვეველობისაგან... დავის გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა მორიგებით ან დარღვეული უფლების აღდგენით. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლების აღდგენის შესაძლებლობა ისპობა ხანდაზმულობის ვადის გასვლით... სასარჩელო მოთხოვნის ვადის გაცდენა წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. ხანდაზმულობის ვადა აითვლება იმ დროიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ... (სუზს გადაწყვეტილება №ბს-455-44(კ-05) 02.08.07 №8-დ. ბუზუკაშვილი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რამდენადაც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2.; მე-12 მუხლების და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 377-ე, 383-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, (მდებარე, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (მდებარე, თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7^ა), მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების გადაცემის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე:

მანანა ჩოხელი

მოსამართლეები:

მაია ბაქრაძე

ნანა კობახიძე